ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 11

23 აპრილი , 2018 წელი
12 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

მიხეილ ლეონიძე

მაშადი მამედოვი

ზაქრო შენგელია

ია ჭანუყვაძე

გულნაზი კოპალიანი

ზაური გოგორიძე

მარია ფედოსეევა

ნატო ცერცვაძე

ბიჭიკო შანშიაშვილი

ხათუნა დიდებაშვილი

ნანა მაჭარაშვილი

დავით ჩაჩანიძე

იოსებ მესხი

ჯუმბერ კეჟერაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დაბაკნეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ. თბილისში, ნაძლადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გუმათჰესის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში,თიანეთის ქუჩის გასასვლელისთვის ჯვარისუბნის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქვითკირის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

- მოსავლიანის ქუჩა

- წითლიანის ქუჩა
- მუხამწვანეს ქუჩა
- თაკვერის ქუჩა
- ოქროულას ქუჩა
- ათინაურის ქუჩა

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთისხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სასულიერო მწერლის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ
18. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის დადიანეთის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის კედარის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბელაქნის სახელის მინიჭების შესახებ
21. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭების შესახებ
23. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია მოქალაქე მიხეილ ლეონიძის განცხადებასთან დაკავშირებით მთაწმინდის რაიონში უსახელო ქუჩის სახელდების მოთხოვნით.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად საკითხი განიხილეს. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის უსახელო გასასვლელს.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს ალექსანდრე ცომაიას ბიოგრაფია გააცნო და უსახელო შესახვევისთვის ძირითადი ქუჩის სახელის მინიჭების ინიციატივა გამოთქვა.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი მიხეილ ლეონიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას. საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს კომისიის წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელი.

2. **ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დაბაკნეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, დაბაკნეთი სოფელია ახალგორის რაიონში, რომელიც 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი მაშადი მამედოვი, რომელმაც სახელდების მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურს მიმართა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გაგრძელდეს დაბაკნეთის ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს დაბაკნეთის I ჩიხის სახელი.

3. **ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელი.

4. **ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად ზაქრო შენგელიას განცხადება განიხილა, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ტერიტორიის დამისამართებას.

კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს თბილისის ზღვის ტერიტორიასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძლებას. ქუჩასთან განვითარებულია ასევე შესახვევი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს თბილისის ზღვის ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელი.

5. **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ქეთევან ჩხაიძემ სახელდების მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს სამისამართო სამსახურს მიმართა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საკითხის შესწავლის შემდგომ გაარკვია, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ტაბახმელას ველის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს. კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელი.

6. **ქ. თბილისში, ნაძლადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს და მოწვეულ მოქალაქეებს დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი გააცნო და იმ პრობლემების ირგვლივ ისაუბრა, რის შესახებაც მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრის დროს კომისიისთვის გახდა ცნობილი და აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება გზის პრობლემის მოგვარებით დაიწყება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ნაძლადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

7. **ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია გულნაზი კოპალიანის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩასთან, #94-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიასთან ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ და კომისიის სამდივნოს უფროსმა გულნაზი კოპალიანს განუმარტეს, უსახელო ტერიტორია მდებარეობს კორნელი სანაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის გასასვლელს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

8. **ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე პიმენ ყურაშვილის ბიოგრაფიაზე და ქუჩასთან ახლად განვითარებული სამი უსახელო ჩიხისთვის ძირითადი ქუჩის სახელის მინიჭებაზე ისაუბრა.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებულ სამ უსახელო ჩიხს მიენიჭოს პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელი.

9. **ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა და კომისიის წევრებმა მოქალაქე გიორგი (ლაშა) შენგელაიას განცხადება განიხილეს, რომლითაც ითხოვს ვაკის რაიონში, სადაც მდებარეობს წმ. ვასილისკოს და წმ. იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია, უსახელო ქუჩის სახელდებას. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ტერიტორია არ არის განაშენიანებული და დამისამართდება მხოლოდ ტაძარი.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი გიორგი (ლაშა) შენგელაია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას გულისხმიერებისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელი.

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გუმათჰესის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს გუმათჰესის I შესახვევის სახელი.

11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად მარია ფედოსეევას განცხადება განიხილეს, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით (72.16.23.573) ითხოვს ტერიტორიის დამისამართებას.

საკითხის განხილვის და ტერიტორიის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ახლად განვითარებულ შესახვევს. კომისიის წევრებმა ავთო ვარაზის ბიოგრაფიაც განიხილეს და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეტერთმეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში,თიანეთის ქუჩის გასასვლელისთვის ჯვარისუბნის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება გააცნო. მოქალაქეები წერილში უმისამართობით გამოწვეული არაერთი პრობლემაზე საუბრობენ.
ტერიტორიის შესწავლის შემდგომ გაირკვა, რომ უსახელო ტერიტორია წარმოადგენს თიანეთის ქუჩის გასასვლელს, თუმცა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არანაირი კავშირი არ აქვს თიანეთის ქუჩასთან.
თინათინ ნიბლოშვილმა უსახელო გასასვლელისთვის ჯვარისუბნის სახელის მინიჭების ინიციატივა გამოთქვა. როგორც მან განმარტა, ჯვარისუბანი სოფელია ახალგორის მუნიციპალიტეტში და 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.
კომისიის წევრები დაეთანხმნენ ხსენებულ ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში,თიანეთის ქუჩის გასასვლელს მიენიჭოს ჯვარისუბნის ქუჩის სახელი.

13. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქვითკირის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად სამისამართო სამსახურის უფროსის მ/ს ნინო ბახიას წერილი განიხილეს,რომელიც გვიგზავნის ნატო ცერცვაძის განცხადებას. მოქალაქე მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიამ უსახელო ტერიტორიის შესწავლის შემდგომ გაირკვა, რომ ირგვლივ მდებარე ქუჩები საქართველოს კუთხეებში არსებული სოფლების სახელებს ატარებს, ამიტომ კომისიის ინიციატივით და კომისიის წევრების თანხმობით, უსახელო ქუჩას მიენიჭება ქვითკირის სახელი.

ქვითკირი ასევე სოფელია ახალგორის მუნიციპალიტეტში და 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქვითკირის სახელი.

14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია საბურთალოს რაიოონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, მარტიანიც ასევე სოფელია

ახალგორის მუნიციპალიტეტში და ასევე ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს. აღნიშნულ სახელდებას დაეთანხმა განმცხადებელი ბიჭიკო შანშიაშვილიც, რომელიც დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას დაესწრო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მარტიანის სახელი.

15. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

- მოსავლიანის ქუჩა
- წითლიანის ქუჩა
- მუხამწვანეს ქუჩა
- თაკვერის ქუჩა
- ოქროულას ქუჩა
- ათინაურის ქუჩა

მოისმინეს: კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად სამგორის რაიონში რიგი უსახელო ქუჩების სახელდების საკითხი განიხილეს. ტერიტორიის შესწავლის შემდგომ გაირკვა, რომ ექვსი უსახელო ქუჩა მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ. სახელების შერჩევის დროს კი კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ვაზის ქართული ჯიშების ბლოკის წარმოქმნა, კონკრეტულად საუბარია ყურძნის უკვე გადაშენებულ ჯიშებზე, როგორიცაა მოსავლიანის, წითლიანის, მუხამწვანეს, თაკვერის, ოქროულას და ათინაურის სახელები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთხუთმეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებს მიენიჭოს მოსავლიანის, წითლიანის, მუხამწვანეს, თაკვერის, ოქროულას და ათინაურის სახელები.

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს და ხათუნა დიდებაშვილის განცხადება განიხილეს, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ტერიტორიის დამისამართებას.

იოსებ ალავერდელი იყო საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ცამეტთაგანი ასურელი მამა, რომელმაც დააარსა ალავერდის მონასტერი. მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კახეთის ამ მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებას.

კომისიის წევრებმა და განმცხადებელმა ხათუნა დიდებაშვლმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ სახელდებას და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთექვსმეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელი.

17. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთისხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სასულიერო მწერლის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია ნანა მაჭარაშვილის განცხადებასთან დეაკავშირებით. უსახელო ქუჩა მდებარეობს მახათას აღმართზე არსებული ახალი ტაძრის მიმდებარედ და თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, სასურველია უსახელო ქუჩას დაერქვას სასულიერო მწერლის სახელი.

სხდომაზე იოანე ზოსიმეს, როგორც მწერლის და ჰიმნოგრაფის მოღვაწეობაზე ისაუბრეს. აღნიშნული საკითხის საჯარო განხილვას ესწრებოდა ნანა მაჭარაშვილი. აღნიშნულმა სახელდებამ მოწონება დაიმსახურა როგორც კომისის წევრების, ასევე განმცხადებლის მხრიდან და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთისხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სასულიერო მწერლის იოანე ზოსიმეს სახელი.

18. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის დადიანეთის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი მეთვრამეტე საკითხი განიხილეს. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს სოღანლუღის ქუჩასთან.

კომისიის გადაწყვეტილებით, უსახელო ქუჩას და მასთან განვითარებულ სამ შესახვევს მიენიჭება 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული სოფლის, დადიანეთის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთვრამეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სამ შესახვევს მიენიჭოს დადიანეთის სახელი.

19. **ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის კედარის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე სამისამართო სამსახურის უფროსის დიმიტრი მახათაძის წერილი განიხილეს, რომლითაც დავით ჩაჩანიძე მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ლისის დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებას.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ლისის დასახლებაში არსებობს ქუჩებისთვის ხეების სახელების მინიჭების პრაქტიკა. ხსენებულ დასახლებაში უკვე არსებოობს: თუთის, მუხის, ტირიფების სახელობის ქუჩები.

კომისიამ თემატური მიდგომით მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ მოთხოვნილ უსახელო ქუჩას მიენიჭოს კედარის სახელი.

სხდომას ესწრებოდა დავით ჩაჩანიძეც. აღნიშნულმა სახელდებამ მოწონება დაიმსახურა და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრამეტე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ გასასვლელს მიენიჭოს კედარის სახელი.

20. **ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბელაქნის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს და მოქალაქეებს დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოცე საკითხი გააცნო. უსახელო ქუჩა, რომელიც სოფელ ფონიჭალაში მდებარეობს, მდებარეობს ასევე თბილისის საზღვართან და დასახლებულია ეთნიკური აზერბაიჯანელებით. თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ თბილისში უკვე არსებობს საინგილოს ქუჩა, თუმცა ბელაქანის ქუჩა ამ დრომდე არ არსებობს. ცნობისთვის, ბელაქანი ქალაქია აზერბაიჯანში, რომელიც 1918-21 წლებში საქართველოოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის მხარდაჭერა სთხოვა და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოცე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ბელაქნის სახელი.

21. **ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს განსახილველად ტაბახმელაში იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი გააცნო. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, იოსებ მესხის მიერ განცხადებაში მითითებული ტერიტორია განაშენიანების პროცესშია. ამ დრომდე აქ მხოლოდ მარო მაყაშვილის ქუჩაა. კომისიის ინიციატივით, ხსენებულ დასახლებაში ქუჩებს იუნკერების სახელები მიენიჭება.

ინიციატივას ერთხმად დაეთანხმნენ კომისიის წევრები. მადლობა გადუხადა კომისიას იოსებ მესხმა, რომელიც საკითხის საჯარო განხილვას ესწრებოდა. კომისიის სამდივნოს უფროსმა, მამუკა ბალიაშვილმა მას დაწვრილებით აუხსნა ქუჩის განვითარების არეალი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ ჩიხს მიენიჭოს იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელი.

22. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ ნინო ბახიას წერილი განიხილეს, რომლითაც მოქალაქე ჯუმბერ კეჟერაშვილი მითითერბული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ტერიტორიის დამისამართებას.

თინათინ ნიბლოშვილმა სახელდებისთვის საქართველოს დამსახურებული მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭების ინიციატივა გამოთქვა და აღნიშნა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეოს ირინა შტენბერგის ქუჩასთან.თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ირინა შტენბერგიც იყო

მხატვარი და სასურველია, რომ პარალელურ ქუჩასაც მიენიჭოს ქალი მხატვრის სახელი.

საკითხის საჯარო განხილვას ესწრებოდა ჯუმბერ კეჟერაშვილი. მოქალაქემ გამოთქვა სურვილი წარმოდგენილი სახელის მაგივრად ქუჩისთვის ერეკლე II- ის კარის ეკლესიის მოძღვარის, მარტყოფელი მღვდლის ქრისტეფორე კეჟერაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის სხდომაზე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელეს. თინათინ ნიბლოშვილმა მოქალაქეს განუმარტა სახელდების პროცედურები. შეთანხმების შემდეგ, 22-ე საკითხი ამოღებული იქნა დღის წესრიგიდან და განიხილება მას შემდეგ, რაც მოქალაქის მხრიდან წარმოდგენილი იქნება სახელდებისთვის საჭირო ყველა მასალა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამესამე საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შუამდგომლობა.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი გადადებულ იქნას შემდგომი განხილვისთვის ყველა საჭირო პროცედურის დაცვით.

23. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე შპს „სოლიდ დეველოპმენტის“ დირექტორის განცხადება განიხილეს. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ უსახელო ჩიხი მდებარეობს ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამესამე საკითხი.
მომხრე - ხუთი
წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გაგრძელდეს ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

23 აპრილი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი